



თბილისის ღია სასწავლო  
უნივერსიტეტი

თემა: თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების  
რელიგიური განზომილებები

ნინო ჯარიაშვილი

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0156

საქართველო

ავტორი: ნინოჯარაშვილი \_\_\_\_\_

საინტელექტუალური \_\_\_\_\_

თბილისის და სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: ჰუმანიტარულ სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

„ჩვენ, ქვემოთ ხელსმომწერი ვადასტურებთ რომ გავეცანით ნინოჯარაშვილს მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების რეალური განზომილებები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილული იქნას თბილისის და უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“.

თარიღი \_\_\_\_\_

ხელმძღვანელი: სოფოჩქოვია, სრულ პროფესორი.

\_\_\_\_\_

რეცენზენტი:

\_\_\_\_\_

ხარისხის მართვისა და სტრუქტურული განვითარების სამსახურის უფროსი:

ნათა ვაჭარაძე

\_\_\_\_\_

## სარჩევი

1. რეზიუმე -----	4
2. Resume -----	6
3. შესავალი -----	8
<b>თავი I პოლიტიკისა და რელიგიებს შორის ურთიერთქმედების მოდელები</b>	
§ 1.1 მოდელების ძირითადი მაგალითები -----	10
§ 1.2 საერთაშორისო/გლობალური პოლიტიკა და ბრძოლები -----	10
§ 1.3. გადამწყვეტი საკითხები -----	11
§ 1.4. რამოდენიმე მაგალითი რეგიონული შემთხვევებიდან -----	12
<b>თავი II რელიგიების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში</b>	
§ 2.1. რელიგიისა და განვითარების პოლიტიკის ახალი გამოწვევები.-----	13
§ 2.2. პოლიტიკური სეკულარიზმი -----	14
§ 2.3 სეკულარიზმის კონცეპტუალური სტრუქტურა -----	15
§ 2.4 სეკულარული სახელმწიფოები -----	17
§ 2.5 ლიბერალ-დემოკრატიული სეკულარიზმის კრიტიკა -----	18
§ 2.6 კონტექსტუალური სეკულარიზმი-----	19
§ 2.7 რელიგიის გავლენა დიპლომატიაზე -----	20
§ 2.8 რწმენისა და რელიგიის გავლენა. -----	21
§ 2.9 რელიგია თანამედროვე კონფლიქტების მთავარი წყარო -----	23
§ 2.10 რელიგიების გავლენა კავკასიის კონფლიქტებზე -----	25
§ 2.11 რელიგიების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში -----	29
<b>თავი III ფუნდამენტალიზმი თანამედროვე მსოფლიოში</b>	
§ 3.1 რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ფანატიზმი, ექსტრემიზმი და რადიკალიზმი-----	31
§ 3.2. მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი -----	33
§ 3.3. რელიგიური ფუნდამენტალიზმი და ადამიანის პიროვნული თავისუფლება -----	35
<b>თავი IV ისლამური ფუნდამენტალიზმი და რეგიონული უსაფრთხოება</b>	
§ 4.1. რელიგიური ფუნდამენტალიზმი და ტერორიზმი -----	36
§ 4.2. რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსებადობა -----	38
დასკვნა -----	40
გამოყენებული ლიტერატურა -----	43

## რეზიუმე

რელიგია, როგორც იდეოლოგიის ფორმა და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მთავარ ღერძს წარმოადგენს.

თანამედროვე მსოფლიოში რელიგია არის ცენტრალური ძალა, რომელიც ადამიანებს შორის მობილიზებას და მოტივირებას ახდენს.

არსებობს ინტერესი იმის შესახებაც თუ რა როლს ასრულებს რელიგია საერთაშორისო გამოწვევებში.

რელიგია წარმოადგენს კონფლიქტის წყაროს, რადგანაც წინ სწევს ტრანსნაციონალურ იდეოლოგიას, რასაც საერთაშორისო საზოგადოებაში ძირითადი პოლიტიკური ეთეული მისდამი ერთგულების გამოიწვევის წინაშე აყენებს. აქვე გამოწვევად ჩანს ეთნიკური ხედვა და სოციალური იდენტურობა თუ როგორ გააძლიერა მოდერნიზაციამ.

ამას არ გამოუწვევია რელიგიის შესუსტება, პირიქით გამოიწვია მისი გაძლიერება საზოგადოებრივ სფეროში.

აქტუალობას არ კარგავს არც რელიგიური ფუნდამენტალიზმი პრობლემა. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ მსოფლიოს 253 ქვეყანაში 10 000 რელიგიას ითვლიან.

ფუნდამენტალიზმთან ბრძოლისას სამწუხაროდ ყოვეთვის არ გვეხმარება დიალოგისა და ტოლერანტობის რეცეპტები.

მართალია ფუნდამენტალისტები არ არიან წინააღმდეგნი საუბრისა, მაგრამ ამ საუბრის მიზანი არ არის საერთო პოზიციის მოძებნა.

ფუნდამენტალიზმზე პასუხი ვერ იქნება საჯარო სფეროდან ან პოლიტიკიდან რელიგიის სრული განდევნა. რელიგიას, როგორც მარგინალიზირებულთა დამცველს, მაშინაც კი, როდესაც იგი მზად არის ფრთხილად ჩაერთოს დიალოგში ყოველთვის იქნება პრეტენზია საჯაროდ შეასრულოს როლი, რომლის მიხედვითაც შეიძლება რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან დაპირისპირება.

### თემის აქტუალობა

რელიგიური ფაქტორ და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე მიეკუთვნება ისეთ თემათა რიცხვს, რომელიც მუდამ აქტუალური იქნება. აქტუალობას არც რელიგიური ფუნდამენტალიზმი არ კარგავს.

### კვლევის ობიექტი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების რელიგიური განზომილებები.

### ნაშრომის მიზანი

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოვიკვლიო რელიგიის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე. თემის შინაარსმა გამოკვეთა ჩემი მიზანი, კერძოდ, გამეშუქებინა რელიგიის გავლენა პოლიტიკაზე, რომელიც უშუალოდ აისახება საერთაშორისო ურთიერთობებში. აგრეთვე რელიგიური ფუნდამენტალიზმის არსი და მნიშვნელობა, მართლმადიდებლური და ისლამური ფუნდამენტალიზმი.

ბოლოს კი რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსებადობა.

### **კვლევის მეთოდები**

თემის კვლევისას ძირითადად ვეყრდნობით კრიტიკული ანალიზის მეთოდს. კრიტიკულად განვიხილავთ სპეციალურ ლიტერატურას. ისტორიული პროცესების შედარების მეთოდმა კი მოგვცა საშუალება ერთმანეთისათვის შეგვედარებინა წარსულის და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში თუ რა ადგილს იკავებდა რელიგია.

ქართველი და უცხოელი მეცნიერებების მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სტატიები კი დაგვეხმარა გვემსჯელა რელიგიური ფუნდამენტალიზმის პრობლემის შესახებ.

### **ნაშრომის სიახლე**

ნაშრომის სიახლე ბევრი ფაქტორი განაპირობებს პირველ რიგში ის, რომ ქართულ ენაზე ასეთი სახის სპეციალური გამოკვლევა ჯერ არ შექმნილა. სიახლეთა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი საკითხების ანალიზი, როგორცაა: პოლიტიკასა და რელიგიებს შორის ურთიერთქმედების მოდელები, რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი, პოლიტიკური სეკულარიზმი, სეკულარიზმის კონცეპტუალური სტრუქტურა და სახელმწიფოები და ა.შ.

აგრეთვე ახლებურად იქნა შესწავლილი რელიგიური ფუნდამენტალიზმის პრობლემის საკითხები. კვლევის შედეგად დავადგინე. იმისდა მიუხედავად, რომ რელიგიას ხშირად ძალადობრივი კონფლიქტების ელემენტად მოიხსენიებენ, ის უნდა თამაშობდეს მნიშვნელოვან როლს კონფლიქტის პრევენციასა და პოსტკონფლიქტურ მოგვარებაში.

### **პრაქტიკული მნიშვნელობა**

სამაგისტრო ნაშრომის გამოყენება, შესაძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე სალექციო კურსის წაკითხვისას. მასში განხილული მასალები, შეხედულებები და თვალსაზრისები ასევე შეიძლება გამოვიყენოთ საჯარო ლექციის წაკითხვისას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თემაზე.

იგი ასევე გარკვეულ სამსახურს გაუწევს დიპლომატიური სამსახურის მუშაობას საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის სპეციალობებს.

## **Resume**

Religion as a form of ideology and its influence on international relations is the main axis of my master's thesis.

Religion in the modern world is a central power that mobilizes and motivates people.

There is an interest in the role of religion in international challenges.

Religion is a source of conflict, as it transcends the transnational ideology that leads to a major political ethos in the international community. It is also seen as a challenge for ethnic vision and social identity on how modernization has strengthened.

This has not caused the weakening of religion, and on the contrary it has been strengthened in the public sphere.

Religious fundamentalism is not a problem. This is due to the fact that in the world of 253 countries, 10 000 religions are counted.

Unfortunately in the fight against fundamentalism, we can not help with recipes and tolerance.

While fundamentalists are not opposed to speaking, the purpose of this conversation is not to find a common position.

Fundamentalism can not be answered by the full expulsion of religion from public sphere or politics. Religion as a marginalized defender, even when it is ready to engage in a dialogue will always be in compliance with the role of a religious confrontation with religious fundamentalism.

### **Topic of the topic**

The religious factor and its influence on international relations belongs to the number of topics that are always relevant. Religious fundamentalism does not lose any seriousness.

### **research object**

Religious dimensions of modern international relations.

### **The purpose of the work**

My master's thesis is to examine the impact of religion on international relations. The content of the topic has revealed my purpose, namely to cover the religion's impact on politics, which will be directly reflected in international relations. As well as the essence and significance of religious fundamentalism, Orthodox and Islamic fundamentalism.

Finally, mutuality of religion and democracy.

### **Research Methods**

The topic of research is mainly based on the method of critical analysis. Critically consider special literature. The method of comparisons of historical processes allowed us to interconnect with the past and in modern international relations where the religion was engaged.

Monographs, textbooks and articles of Georgian and foreign sciences helped us to understand the problem of religious fundamentalism.

### **The novelty of the thesis**

The novelty of the theory causes many factors in the first place that such special examination has not yet been established in Georgian. The innovation includes the analysis of issues such as: interaction between politics and religions, interrelation between religion and politics, political secularism, conceptual structure of secularism, and states.

Also, issues of religious fundamentalism have been studied in a new way. Based on the research. Despite the fact that religion is often referred to as the element of violent conflicts, it must play an important role in conflict prevention and post-conflict resolution.

### **Practical meaning**

Master's thesis can be used to read the lecture course on the specialty of international relations. Materials, opinions and views discussed in it can also be used to read public lecture on modern international relations.

It will also serve the diplomatic service to the relevant specialties of the Ministry of Foreign Affairs.

## შესავალი

„თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების რელიგიური განზომილებები“ - ეს გახლავთ ჩემი სამაგისტროს ნაშრომის თემა. ამ ნაშრომით მინდა წარმოვაჩინო თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს რელიგიური ფაქტორი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, ასევე მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბებაში.

ცივილიზაციათა ურთიერთდამიკიდებულება წარმოადგენს ერთიანი გლობალური როგორც სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ფაქტორს. აქ წინა პლანზე იწევს რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთდამიკიდებულებების საკითხი. ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ამ საკითხის განხილვას სწორედ ამიტომ ჩემს ნაშრომში შესავლის სახით გიჩვენებთ რელიგიასა და პოლიტიკის დამოკიდებულების საკითხს. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ აღნიშნულ თემაზე ნაშრომები საკმაოდ მწირია, სწორედ ამიტომ უცხოური ლიტერატურიდან და აგრეთვე სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მსურს გიჩვენოთ ის ძირითადი რელიგიური ფაქტორები, რომლებმაც გარკვეული გავლენა იქონია საერთაშორისო ურთიერთობებში.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან და ქვეთავებისაგან. პირველ ნაწილში ძირითადი აქცენტი მაქვს გაკეთებული პოლიტიკისა და რელიგიებს შორის ურთიერთქმედების მოდელებზე, მოდელების ძირითად მაგალითებზე, საერთაშორისო გლობალურ პოლიტიკაზე და რელიგიებზე და ა.შ.

მეორე თავში ყურადღებას გავამახვილებ რელიგია, საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა განვითარებისთვის. ამ საკითხზე მსჯელობისას შევეხები რელიგიასა და განვითარების პოლიტიკის ახალ გამოწვევებს, პოლიტიკურ სეკულარიზმს, სეკულარიზმის კონცეპტუალურ სტრუქტურას, სეკულარ სახელმწიფოებს და სხვა.

ნაშრომის მესამე თავში კი ვიმსჯელებ ფუნდამენტალიზმის როლზე თანამედროვე მსოფლიოში. რელიგიურ ფუნდამენტალიზმზე, ფანატიზმზე, ექსტრემიზმზე, რადიკალიზმზე. ცალკე ქვეთავად დავახასიათებთ



მართლმადიდებლურ ფუნდამენტალიზმს, აგრეთვე ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას.

ბოლოს კი მეოთხე თავში კვლევის ძირითადი საკვანძო საკითხები იქნება ისლამური ფუნდამენტალიზმი და რეგიონალური უსაფრთხოება, აგრეთვე რელიგიური ფუნდამენტალიზმი და ტერორიზმი. კვლევას კი რელიგიასა და დემოკრატიას შორის ურთიერთქმედებით დავასრულებთ.

# თავი I პოლიტიკასა და რელიგიებს შორის ურთიერთქმედების მოდელები

## § 1.1 მოდელების ძირითადი მაგალითები

არავისთვის გასაკვირი არ არის ის, რომ ადამიანთა ცხოვრების ორი სფერო: პოლიტიკა და რელიგია, განსხვავებულად ურთიერთქმედებს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას.

დიდი ხნის მანძილზე დომინირება პოლიტიკასა და რელიგიებს შორის იყო ცალმხრივი. ანთროპოლოგები ხშირად პოულობენ „რელიგიურ“ რიტუალებსა და სიმბოლოებს უძველესი დროის ადამიანთა ჯგუფების ნასახლარებზე.

არაიდენტიფიცირებული სამოქალაქო რელიგია შეიძლება იდენტიფიცირებული იქნას, როგორც განურჩეველი სოციალური კავშირი, ვიდრე სამოქალაქო რელიგია.

საბოლოო მოდელი რელიგიებსა და პოლიტიკას შორის ურთიერთქმედების დროს არის ურთიერთადიარება. მე-19 საუკუნეში, როგორც კოლონიზმის ეპოქაში, მიმდინარეობდა მასშტაბური ბრძოლები სხვადასხვა რელიგიებსა და ცივილიზაციებს შორის. დღეს კი, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ასეთი შეჯახებები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია.

## § 1.2 საერთაშორისო/გლობალური პოლიტიკა და ბრძოლები

ნათელია, რომ როგორც პოლიტიკა, ასევე რელიგია მისწრაფვის გლობალური ან საერთაშორისო დონეებისკენ. ბევრ რელიგიას (ისლამი, ბუდიზმი, ქრისტიანობა, ნაწილობრივ ინდუიზმი და იუდაიზმის მთავარი ტრადიციები). აქვს გლობალური მისწრაფებები და იდენტურობა.

ადვილია ერთმანეთს დაუკავშირო პოლიტიკისა და რელიგიის სფეროები, როგორც კონცეპტუალური თვალსაზრისით, აგრეთვე ისტორიულად.

რელიგიებმა განიხილეს მორალური სწავლებების დახმარებით ძალადობისა და სამართლის პრობლემები, თუმცა ზოგიერთი ომი ხასიათდებოდა რელიგიური ფაქტორებით. რა თქმა უნდა ყველაზე გამორჩეული მიზეზი. რაც ამართლებს შეიარაღებულ კონფლიქტს არის „სამართლიანი ომის“ კონცეფცია, მისი პატივსაცემი ისტორიის თანხლებით.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ძლიერი რელიგიური მინიშნებით, ერთ-ერთი არაჩვეულებრივი განსაკუთრებულობაა ის, რომ რელიგიური უმცირესობების ჯგუფები ძლიერდებიან რაოდენობრივად მრავალ ქვეყანაში, ქმნიან ახალ, უცხო კულტურულ-სოციალურ საშიშროებებს, სეპარატისტული მოძრაობების ჩათვლით და რადგანაც ბევრ რელიგიურ უმცირესობას ჰყავს უცხო ეთნიკური მეზობლები, ამ შემთხვევაში საერთაშორისო უთანხმოების წყაროდ შეიძლება გახდეს ირედენტიზმი.

როგორი სახით ექნებათ ურთიერთობა მომავალში თანამედროვე გლობალიზაციისა და რელიგიური უნივერსალურობის ტრადიციებს კვლავ რჩება კვლევის საგნად.

### **§ 1.3 გადამწყვეტი საკითხები**

ყველაფერს თავისი ნორმა აქვს. მათ შორის რელიგიას და პოლიტიკასაც. სამართლის სტრუქტურა და ბაზრების სტანდარტები ისევე ჯდება ამ ნორმებში, როგორც უფრო არსებითი ნორმები რელიგიისა და პოლიტიკისათვის, რაც ეხება მორალურობას სამართლიანობასა და ლეგიტიმურობას, ტრადიციულობას. არსებობს კერძო ნორმებიც, რაც ინდივიდებში შეიმჩნევა.

რელიგიების კიდევ ერთი როლი მდგომარეობდა ადამიანებს შორის დიალოგსა და შერიგების პროცესებში. ძველიჩინეთიდან დაწყებული, საბერძნეთის გავლით და დამთავრებული თანამედროვე ეროვნული კონსტიტუციებითა და ქარტიებით, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების პროცედურებით, რელიგიების მორალური სწავლებები კვლავ მიმართული არის საზოგადოებრივი წესრიგისკენ.

ტერმინი „საზოგადოებრივი რელიგია“ აქტიურად გამოიყენება დღეს, როგორც პოლიტიკაში ცვლილებების რელიგიური გამოხატულება. სიმბოლურია პაპბენედიქტეს კომენტარი აპრილში ვაშინგტონში ვიზიტის დროს: „უნდა შევეწინააღმდეგოთ რელიგიას, როგორც კერძო საკითხის მიპყრობის ნებისმიერ ტენდენციას“.

ყველასათვის ნაცნობი ფრაზა „ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფა“ კრიტიკული განხილვის შემდეგ, ფორმირებულია, როგორც რელიგიასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობის ერთ-ერთი სახე. ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი რელიგიური თავისუფლების გამოცხადებამ რელიგიებს ნაციონალურ და საერთაშორისო ფორუმებში გარკვეული ადგილი.

#### **§ 1.4 რამოდენიმე მაგალითი რეგიონული შემთხვევებიდან**

ძირითად აქცენტს გავაკეთებთ რამოდენიმე რეგიონზე, კონკრეტულად კი აღმოსავლეთ აზიაში, პოლიტიკასა და რელიგიებს შორის ურთიერთქმედების მაგალითებს შორის განსხვავებებზე.

მეცხრამეტე საუკუნიდან აღმოსავლეთ აზიაში ნეიტრალური სახელმწიფოს სეკულარული მოდელების გვერდით არსებობდა ეკლესიის და სახელმწიფოს გაყოფის ლიბერალური მოდელებიც, თუმცა რელიგიური ღირებულებები ხანდახან შედიოდა ცალმხრივად დომინირებულ პოლიტიკურ სისტემაში.

ანალიტიკოსების განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს 1986 წ-დან ფილიპინებში „ხალხის ძალაუფლების“ მოძრაობა და 1987წ-დან სამხრეთკორეაში დემოკრატიული პოლიტიკის ევოლუცია, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ რელიგიურ ჯგუფებს. დემოკრატიზაციის შედეგებს 1980-იანი წლების მიწურულიდან ტაივანში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, განსაკუთრებით 1980წ-დან ინდონეზიაში, 1998-დან აქვს რელიგიური განზომილებები.

## თავი II რელიგია, საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა განვითარებისთვის.

### § 2.1 რელიგიისა და განვითარების პოლიტიკის ახალი გამოწვევები.

ექვგარეშეა, რომ დღეს რელიგია საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში საკმაოდ მაღლა დგას, რომ იგი კვლავ აღზევდა გლობალურ საზოგადოებრივ სამფლობელოში, და მოიპოვა გამორჩეული ადგილი საგარეო პოლიტიკაში, დიპლომატიასა და კონფლიქტურ მოლაპარაკებებში.

დღეს რა აქვს რელიგიას სათქმელი?! ნათლად ჩანს, რომ დღეს ძალზედ პოპულარულია იმის ხელახალი მტკიცება, რომ რელიგია დიდი ხნის განმავლობაში უარყოფილი იყო და საერთაშორისო განვითარების პოლიტიკა არასწორად წარმოადგენდა რელიგიას, არასწორად წარმართავდნენ თავიანთ ძალისხმევას, აკლდათ ღირებული რესურსები და შესაძლებლობები. ყველაფერი რაც რელიგიასთან ერთად მოდის არ არის ღირებული და გამანთავისუფლებელი. არსებობს ჩრუ ღმერთები, დამრთგუნველი სიუაციები, დაქვემდებარების ლოგიკა, დახურული სექსუალური ეთიკა და ავტორიტეტული რელიგიური სტრუქტურები, სიკვდილით დასჯის მხარდაჭერა და ლეგიტიმაცია.

ყველამ ვიცით, რომ არსებობს მეტად ბუნდოვანი წინააღმდეგობა რელიგიურად მოტივირებული არადასავლური აქტირებისა, რომლებმაც უნდა იმუშაონ ძლიერ სეკულარიზებულ დასავლეთელ განვითარების პარტნიორებთან ერთად.

როგორ და რატომ უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს რელიგია და განვითარების პოლიტიკა. რელიგიები გვთავაზობენ უამრავ პერსპექტივებსა და მორალური იდეების ფართო არჩევანს, რომლებიც მოიცავენ ისეთ რაც შეეხება ადამიანის სიცოცხლე-სიკვდილს, საკვებსა და წყალს, ჯანმრთელობა-განათლებას, სიყვარულს და დაბადებას. ამან მოიტანა რელიგიური ინსტიტუტები, ორგანიზაციები და მოძრაობები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სადაც ხშირად მიმდინარეობს ბრძოლა სიცოცხლესა

და სიკვდილის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მორალური საკითხებისათვის.

რელიგიის აღორძინება მოიცავს გარკვეული პოტენციალის მქონე აქტორების სპექტრს, დღის წესრიგითა და ალიანსებით, რაც საერთაშორისო პოლიტიკის და დიპლომატიის ტრადიციულ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ ფოკუსის ფარგლებს სცდება. ახალი დამოკიდებულება ეხება საერთაშორისო საჯარო პოლიტიკასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში რელიგიის ადგილს.

## § 2.2 პოლიტიკური სეკულარიზმი

სეკულარიზმის შესახებ კრიტიკული ნაშრომები ორაზროვანია: ან უნდა მოიძებნოს სეკულარიზმის ალტერნატივები, ან სეკულარიზმის ალტერნატიული კონცეფციები. ალტერნატიული კონცეფციების ძიება საშუალებას გვაძლევს თანამედროვე დასავლეთსა და ტრადიციულ აღმოსავლეთს შორის მოვახდინოთ გაყოფა.

დასავლური სეკულარიზმის კრიტიკოსების ნაწილი აცხადებენ, რომ მორწმუნეთა გაერთიანება დათმონ რელიგიური რწმენები როდესაც ისინი შეაბიჯებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სეკულარიზმი მტრულ განწყობას უჩვენებს მორწმუნეებს და ერთგვაროვანს ხდის საზოგადოებრივ სფეროს, ზოგი კრიტიკოსი კი (მაგ. კინი, კონოლი, ასადი) უარყოფს მის დამოკიდებულებას შინაგან აღწერილობაზე, ის გულისხმობს ჰეგემონების წინააღმდეგ ბრძოლას, თუმცა საკუთარ თავს აყენებს როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსჯის ავტორიტეტულ საფუძველს.

პოლიტიკურმა სეკულარიზმმა თრთოლვა იგრძნო ირანში პირველი თანამედროვე თეოკრატიის დამყარებით. 1989 წელს, ისლამური სახელმწიფო დაარსდა სუდანში; 1991 წელს, ისლამისტური ხსნის ფრონტმა გაიმარჯვა ალჟირის არჩევნებში. ისლამისტური მოძრაობები გაჩნდა: ნიგერიაში, ტუნისში, ეთიოპიაში, ჩადში, სენეგალში, ავღანეთში და თურქეთში.

სეკულარიზმი ასევე არის კამათის საგანი პოლიტიკურ თეორიაში ინდოელ აკადემიკოსებს შორის, რომლებმაც პირველებმა გამოთქვეს თავიანთი წინააღმდეგობა, არგუმენტად კი ასახელებენ, რომ ინდოეთში სეკულარიზმის საგარეო საფრთხე წარმოადგენს უფრო ღრმა შიდა კრიზისის სიმბტომს, და ის, რომ სეკულარიზმის კონცეპტუალური და ანორმატიული სტრუქტურა თავისთავად შემაშფოთებლად შერყეულია.

სეკულარიზმის ინდური ვერსია წარმოადგენს დასავლური ვერსიის თანამედროვე ალტერნატივას, რომლისგანაც მომავალში შეიძლება ნახოს ყველამ სარგებელი.

### § 2.3 სეკულარიზმის კონცეპტუალური სტრუქტურა

იმისათვის, რომ მოხდეს სეკულარიზმის კონცეპტუალური სტრუქტურის იდენტიფიცირება უნდა შევაპირისპიროთ ის ანტი-სეკულარულ დოქტრინებთან.

ანტი-სეკულარული დოქტრინები იცავენ ეკლესია-რელიგიასა და სახელმწიფო შორის კავშირს. სახელმწიფოს, რომელსაც აქვს კავშირი კონკრეტულ რელიგიურ წესრიგთან წარმოადგენს თეოკრატიულ სახელმწიფოს, რომელსაც ღვთიური კანონები მართავს, რომელიც თავის მრივ ადმინისტრირებულია სამღვდლო წესით<sup>1</sup> [რელიგიის კათოლიკური ენციკლოპედია].

არსებობს ინსტიტუციონალური დიფერენცირების ხარისხი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის განსვავებული ფუნქციებით, რომელსაც თითოეული ასრულებს სხვადასხვა შემადგენლობით. თუმცა, არსებობს უფრო მნიშვნელოვანი გაგება, ზემოთხსენებულთ შორის, რომლითაც დაკავშირებულები აიან ერთმანეთთან და საერთო მიზანს იზიარებენ, რომელიც ხშირ შემთხვევაში განსაზღვრულია რელიგიის მიერ. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კავშირის თვალსაზრისით შესაძლებელია არსებობდეს კავშირი პოლიტიკისა და სამართლის დონეზეც.

---

<sup>1</sup> რელიგიის კათოლიკური ენციკლოპედია ტომი 14 გვ. 13

ასევე მრავალი რელიგიის ოფიციალურად აღიარება შესაძლებელი ეკლესიით ან მის გარეშე. სწორედ ამიტომ არსებობს ხუთი რეჟიმი დახურული ურთიერთობით ახელმწიფოსა და რელიგიას შორის. უპირველეს ყოვლისა თეოკრატია, სადაც არ არსებობს არავითარი ინსტიტუციონალური განცალკევება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის და სამღვდლო წესრიგი გახლავთ პირდაპირ პოლიტიკური მმართველი.

2. სახელმწიფოები, სადაც ერთი რელიგიაა აღიარებული, გააჩნია სამი ტიპის ქვედაყოფა:

- ა) ეკლესიის ოფიციალურად აღიარების გარეშე
- ბ) ერთი ეკლესიის ოფიციალურად აღიარება
- გ) მრავალი ეკლესიის ოფიციალური აღიარებით.

3. არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც ოფიციალურად აღიარებენ მრავალ რელიგიას.

სახელმწიფოები, რომლებიც დამოუკიდებლად აღიარებენ მრავალ ეკლესიას ან რელიგიას-ნიუ ორკი მე-17 საუკუნის შუა წლები, ასევე ვიანგარის სამეფო მე-14 საუკუნეში გარკვეულწილად გაუმჯობესებულ ვარიანტებს წარმოადგენდნენ. თუმცა სახელმწიფოები, სადაც ოფიციალურად აღიარებული არის რამოდენიმე ეკლესია, აქვთ შეზღუდვებიც, რადგანაც მათ შეუძლიათ განაგრძონ სხვა რელიგიების მიმდევრებისა და ათეისტების დევნა.

უმცირესობების დევნა და შიდა განხეთქილებები კვლავაც აქტუალურია ყოველთვის, როცა რელიგია, როგორც ფორმალურად, ისე დამოუკიდებლად არის ოფიციალურად აღიარებული. მნიშვნელოვანია ამის აღნიშვნა, რადგანაც სეკულარიზმის უკანასკნელი კრიტიკოსები ხშირად უფრო კომპრომისულ დამოკიდებულებას ურჩევენ რელიგიის მიმართ მაშინ, როცა უგულებელყოფილია ელემენტარული ფაქტები თუ რა შეძლება ამან გამოიწვიოს. ამის ნათელი მაგალითია პაკისტანი, სადაც სუნიტების სექტის ვირტუალურმა აღიარებამ დაადასტურა თუ რა მდგომარეობაშია უმცირესობები, მათ შორის მუსლიმანი უმცირესობები.



ან თუნდაც გუჯარათის პროგრამა, ანუ ის თუ რამდენად სავალალოა ინდუისტური რაშტრას ოფიციალური აღიარება ინდოეთში მუსლიმანური უმცირესობებისათვის. ან ისრაელი, სადაც ძნელი იქნება იმის მტკიცება, რომ რელიგიური უმცირესობები სარგებლობენ იგივე უფლებებით, რომლითაც ებრაელები.

## § 2.4 სეკულარული სახელმწიფოები

მორალური თვალსაზრისით, ზოგიერთი სეკულარული სახელმწიფო მაინც არის ღრმად პრობლემატური.

არსებობს გათიშულობის სამი დონე, რომელიც შეესაბამება კავშირის უკვე იდენტიფიცირებულ დონეებს: პირველი დონე: სახელმწიფო შეიძლება გამოეთიშოს რელიგიას მიზნების დონეზე; მეორე: ინსტიტუტების დონეზე და ბოლოს მესამე: სამართლისა და საჯარო პოლიტიკის დონეზე.

სეკულარული სახელმწიფო განსხვავდება როგორც თეოკრატიისგან ისე სახელმწიფოებისაგან, სადაც ოფიციალურადაა აღიარებული რელიგიები პირდაპირი, პირველი დონის გათიშულობის მეშვეობით. მას გააჩნია თავისუფალი უცვლელი მიზნები, რომლებიც არსებითად თუ არა, მუდმივად დაშორებულია რელიგიის მიზნებისაგან.

სეკულარული სახელმწიფო უარს ამბობენ რელიგიის ოფიციალურად აღიარებაზე, ან ფორმალურად გამოყოფენ მას პრივილეგიების გარეშე, რომლებიც მანამდე ოფიციალურად აღიარებულმა ეკლესიებმა ულაპარაკოდ მიიღეს. სეკულარულ სახელმწიფოში. არავითარი ოფიციალური სტატუსი არ ენიჭება რელიგიას.

ამორალური სეკულარული სახელმწიფოსაგან განსხვავდება მნიშვნელობით დახასიათებული სახელმწიფოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ისეთი ღირებულებებით, როგორცაა: მშვიდობა, თანასწორობა, თავისუფლება

ღირებულებებზე დაფუძნებულმა სეკულარულმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაიცვან ინდივიდის უფლებები რათა გააკრიტიკონ რელიგია,

რომელშიც ისინი დაიბადნენ. ისინი სამოქალაქო უფლებებს ააქტიურებენ, როგორცაა ხმის მიცემის და საჯარო სამსახურის უფლება, რომელიც მისაწვდომია დისკრიმინაციის გარეშე, რელიგიის მიუხედავად.

ლიბერალ-დემოკრატიული სეკულარული სახემწიფოები როგორც წესი უბრძანებენ თავიანთ მოქალაქეებს დაიცვან მხოლოდ ის იძულებითი კანონები, რომლისთვისაც არსებობს სასამართლო.

დემოკრატიულ და პლურალისტურ სახელმწიფოებრივ წყობილებაში რელიგიური სწავლებები და ვალდებულებები არავითარ როლს არ უნდა ასრულებდნენ.

## § 2.5 ლიბერალ-დემოკრატიული სეკულარიზმის კრიტიკა

არსებობს მრავალი კრიტიკა, რომ რელიგიური მსჯელობები უნდა გამოირიცხოს ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკიდან. თუ ადამიანები თვლიან, რომ მათი პოლიტიკა უნდა შეეთავსოს მორალურობას, რატომ უნდა იყვნენ ისინი ამის გამო დალდასმული ან რატომ უნდა იყოს მცდელობა შეცვალონ თავიანთი აზრი?! სიმართლეს მოკლებულია ის მცდელობა, რომ მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ ადამიანებს მოაქვთ სექტანტობა პოლიტიკაში. რიჩარდ როტს სწამს, რომ მხოლოდ რელიგიაა დიალოგის შემაფერხებელი<sup>1</sup> [რორტი 1994].

მეორე ამ ტიპის სეკულარიზმს არ ესმის მორწმუნის ცხოვრება, რადგანაც ის ცხოვრობს შიგნიდან. ის ყურადღებას არ აქცევს რელიგიების უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ ნიშანს, რომ ისინი ხელს უწყობენ მათ წევრებსაირჩიონ მკაცრი წესებით შემოსაზღვრული და სურვილის უარმყოფელი ცხოვრება.

მესამე განცალკევების ინტერპრეტირება, როგორც გარიცხვის, ღალატობს მისსავე სექტანტობას. ეს არის სეკულარიზმი, რომლითაც შეუძლია კომფორტულად ცხოვრება პროტესტანტულ, ლიბერალურ, ინდივიდიზირებულ რელიგიებთან ერთად, მათ ვინც მანდატს აძლევს უმრავლესობის საჯარო ან პოლიტიკურ მონაწილეობას.

მეოთხე დასავლური სეკულარიზმი მოიაზრება, რომ არის პროტესტანტული ეთიკის პროდუქტი.

სეკულარიზმის მორალური მსჯელობის მოდელი კონტექსტურად არაგონებრივია, აბსოლუტურია და გვაიძულებენ ვიფიქროთ ამა თუ იმ ტვალსაზრისით და მონოლოგიურ იდეებსა თუ ღირებულებებზე დაყრდნობით, რომელიც ითვლება, რომ არის მართებული.

სახელმწიფოები, რომლებიც არალიბერალურ რელიგიებთან მოქმედებენ ხშირად პატიობენ მორალურად უსიამოვნო თაღლითობებს. მაგალითად პაკისტანში კანონ-ე-შაჰიდიტი იყენებს საშუალოდ ორ ქალს და ორ არა-მუსულმანს და ერთი მამრობითი სქესის მუსლიმანს რითაც ამტკიცებენ, მუსლიმი მამაკაცების უპირატესობას ქალებზე, ამით ისინი უხეშად არღვევენ თანასწორობის პრინციპს.

ქალთა რეკიგიური უფლებების დარღვევა უხეშად არცხვენს ინდური სახელმწიფოს სეკულარულ ხასიათსაც.

## § 2.6 კონტექსტუალური სეკულარიზმი

ამ ქვეთავში ავლწერ მგრძნობიარე სეკულარიზმს, რომელიც დამყარებულია დისტანციაზე, როგორც კონტექსტუალური სეკულარიზმის იდეა. კონტექსტუალური იდეა ნიშნავს, რომ სეკულარიზმის შინაარსი და ფორმაგანსხვავდებ კონტექსტების მიხედვით, ამვე დროს მორალური მსჯელობის პრინციპი უნდა იყოს კონტექსტუალური<sup>2</sup>. დავუშვით ალბათობაიმისა, რომ სეკულარიზმი არის მრავალ-ღირებულებითი დოქტრინა, რამაც უნდა შეძლოს იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ ფუძემდებლური ღირებულებები შესაძლოა კონფლიქტში მოდიოდნენ ერთმანეთთან. ამ მიზეზით იგი ყოველვის ახალ განმარტებას მოითხოვს, აგრეთვე კონტექსტუალურ მსჯელობებსა და კომპრომისების მცდელობას.

მაგალითად, კონფლიქტი ჯგუფსა და ინდივიდის უფლებებს შორის; კონფლიქტი არ შეიძლება ყოველთვის ზოგად და აბსტრაქციულ პრინციპთა

---

<sup>2</sup> ტეილორი 1994 გვ. 16-43

რესურსით გადაწყდეს. ის შეილება მოგვარდეს ეტაპობრივად და მოითხოვდეს კონკურენტი საჩივრების დაბალანსებას. მართალია საბოლოო შედეგი არ იყოს დამაკმაყოფილებელი არ ერთისთვის მთლიანად, მაგრამ შეიძლება იყოს ზომიერად დამაკმაყოფილებელი ორივესთვის.

„რატომ ვუყუროთ რაღაცეებს ამა თუ იმ თვალსაზრისით, რატომ არ ვცადოთ გვექონდეს ესეც და ისიც<sup>3</sup>. ამ შემთხვევაში წინა პლანზე იწევს ერთი საკითხი, პირველი, სეკულარიზმის პრაქტიკა მოითხოვს მორალური მსჯელობის განსხვავებულ მოდელს. მეორე სეკულარიზმი არის ეთიკურად მგრძნობიარე შეთანხმებითი გადაწყვეტა განსხვავებულ ჯგუფებსა და ღირებულებებს შორის.

## § 2.7 რელიგიის გავლენა დიპლომატიაზე

დღემდე აღიარებული შეხედულებებით მტკიცდება, რომ ან რელიგიაა შეუთავსებელი დიპლომატიისადმი თანამედროვე სეკულარულ ნაციონალისტურ ეპოქაში ან იგი წარმოადგენს მომავალი კონფლიქტის წყაროს<sup>1</sup> [სემუელ ჰათინგტონი „ცივილიზაციათა შეჯახება“] 1947 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდგომ რელიგიის მნიშვნელობა მყარად განაგრძობს ზრდას. 1990 წ-დან „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდიდა, რელიგია სულ უფრო ცენტრალური ხდება როგორც დიპლომატიაში, ასევე საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც გამოხატულია ყველა კატეგორიაზე რელიგიური /თნიკური/ ეროვნული კონფლიქტების ზრდაში, მათ შორის მმართველი სტრუქტურების კოლაფსის ჩათვლით.

საერთაშორისო ურთიერთობების საზოგადოება ებრძოდა დაახლოებით 30 წლის განმავლობაში რელიგიასა და დიპლომატიას შორის ურთიერთობას, რომელიც პირველად აღნიშნა ბარი რუბინმა თავის სტატიაში „რელიგია და სახელმწიფოებრიობა“.

ირანის რევოლუციამ რელიგია აქცია საზოგადოებისა და ყველა საკითხზე პოლიტიკს შემუშავების ეპიცენტრად. მან რადიკალურად შეცვალა ირანის

---

<sup>3</sup> ოსტინი 1996 გვ. 318

მთავრობა განმაცალკევებელი და მოდერნიზებაი მონარქიიდან თეოკრატიულობისაკენ, რელიგიურად ფუნდამენტალისტურ სახელმწიფოდ და საზოგადოებად.

ნაკლებად ცნობილია პროტესტანტული ეკლესიის როლი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმიანი აქტივობის დაცემაში. როცა ევანგელური ეკლესიების ფედერაციამ გამოყო ადგილი პოლიტიკის განსახილველად და არაფორმალურად მისცა ბიგი რეჟიმს უფრო გახსნილი და პროგრესული საზოგადოებისკენ.

ამ ყველაფრის კულმინაცია კი გახლდათ აღმოსავლეთ გერმანიაში ეკლესიის მიერ მხარდაჭერილი დემონსტრანტების სია, რამაც ბერლინის კედლის დაცემა განაპირობა.

ისტორიკოსთა ნაწილი რელიგიის აღორძინებას საზღვრავს, როგორც განვითარებას საერთაშორისო პოლიტიკაში ისრაელის სახელმწიფოს შექმნით და არაბ-ისლამური პოლიტიკური გამოხმაურებებით იმის მიმართ, რასაც ისინი მიიჩნევდნენ შემამფობებელ მოვლენად. ბოლო 30 წელზე მეტია რაც არაბ-ისრაელის სამშვიდობო პროცესებში მოხდა დიპლომატიის მთელი თავისი სიმძლავრით ჩართვა.

საგარეო პოლიტიკაში რელიგიის აღორძინება შესამჩნევი იყო არა მხოლოდ აღმოსავლეთში, არამედ ეთნიკურ და რელიგიურ ბრძოლებში ბოსნიაში, კოსოვოში, ასევე რუსეთი საგარეო პოლიტიკაშიც სლავურ-რელიგიური კომპონენტის გაჩენაში.

## **§ 2.8 რწმენისა და რელიგიის გავლენა.**

საერთაშორისო პოლიტიკასა და დიპლომატიაში მთავარ ცვლილებას ახალი სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა. ბოლო ხუთი ათწლეულის განმავლობაში, რამაც საგარეო წევრთა რაოდენობა 185-მდე გაზარდა, მანამდე არსებულ 50-დან, რომელმაც ჩამოაყალიბა თვითონ ეს ორგანიზაცია, ამას მივუმატოთ ტრანსპორტისა და კომუნიკაციის ზრდა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების

კომბინაცია ინტერნეტთან შეიძლება იყოს გამაყრუებელი. ბუნებრივია ჩნდება კითხვა: თუ როგორ უნდა მოხდეს ეფექტების საუკეთესო გაანალიზება?

1. სახელმწიფო მოღვაწეებისა და დიპლომატების, პოლიტიკოსებისა და რელიგიური შეხედულებები, მოთამაშეების ინდივიდუალური რწმენები გარკვეულ გავლენას ახდენენ საკითხების არამხოლოდ აღქმაზე, არამედ თავიანთ ქმედებაზეც.

2. რწმენა, რომელიც ეროვნულ /საერთაშორისო შეხედულებების საფუძველია. იგი ხელს უწყობს ეროვნულ/ ორგანიზაციულ შეხედულებებს. რელიგიამ ხელი შეუწყო ამერიკული ღირებულებების ფორმირებას იმ ადრეული პერიოდიდან, როცა ამერიკელები როგორც „ახალ იერუსალიმს“ ისე უყურებდნენ აშშ-ს. პრაქტიკული საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, მისიონერები თავისივე ფორმებით მოქმედებდნენ მანადე სანამ აშშ-ს დიპლმატიური სამსახურები ექნებოდათ.

3. რელიგიური ორგანიზაციებისა და სარწმუნოების საკითხების გავლენა. ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ვატიკანი, როგორც კათოლიკური ეკლესიის დიპლომატიური ორგანო. არც ერთ სხვა რელიგიაში არ არსებობს ასეთი ეფექტური ორგანიზაცია. მართალია ებრაული სიონისტური ორგანიზაციები ეფექტურია, მაგრამ მათ არ გააჩნიათ თავიანთი დიპლომატიური სამსახური.

4. დასავლურმა ანალიზმა არასათანადოდ შეაფასა წარსულში რელიგიური პარტიები, რადგან მან განხილვაში მხოლოდ უშუალო სეკულარული მამაცობა ჩართო.

წარმოუდგენელია განიხილო რელიგიური კონფლიქტი თამილის ვეფხვებსა და მთავრობას შორის შრილანკაზე მანამ, სანამ არ ჩაწვდებით ბუდისტურ - ინუისტურ რელიგიურ საკითხებს და კონფლიქტის ეთნიკურ ბაზისს.

## § 2.9 რელიგია თანამედროვე კონფლიქტების მთავარი წყარო

რელიგიის აღიარება კონფლიქტის მიზეზად, ასევე მისი გავლენის საკითხი საზოგადოებისა და პოლიტიკაზე მაინც საკამათოა.

ისტორიამ აჩვენა, რომ ერთი რელიგიის ექსპანსია მეორის ტერიტორიაზე ხშირად ძალადობრივი გზით მიმდინარეობდა. ინციდენტები დღემდე ხდება, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ყოველ პერიოდში ხდებოდა რელიგიის მიერ ძალადობის გამოყენების გამართლების საკითხი ისეთი რელიგიური ფასეულობების დასადგენად, როგორცაა: თავისუფლება, სამართლიანობა და ადამიანთა უფლებები. მაგალითისთვის ქრისტიანობის მიერ განვითარებული „საღვთო ომის“ და ისლამური ჯიჰადის მოყვანა შეიძლება.

ისეთი ინციდენტები, სადაც რელიგიური რწმენა იყო მიზეზი ბოლოდროინდელი შეიარაღებული კონფლიქტებისა, გაცილებით უფრო იშვიათია იმ სიტუაციებთან შედარებით, სადაც რელიგია ოროტად იქნა გამოყენებული სხვა მიზეზების მისაღწევად.

ამასთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი ტენდენციის გათვალისწინებაა საჭირო. პირველი ტენდენცია „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ შეიარაღებული კონფლიქტების ბუნების ცვლილებაა თუ, ერთი მხრივ, შეიარაღებული კონფლიქტების წილი მეტ-ნაკლებად უცვლელია, მეორე მხრივ 1990-იან წლებში, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში შეიარაღებული კონფლიქტების საოცარი ზრდა შეიმჩნევა. ამ მხრივ განსხვავდება ლათინური ამერიკა, სადაც მაშტაბური კონფლიქტების რიცხვი კლებულობს.

მეორე ტენდენცია აჩვენებს, რომ თანამედროვე კონფლიქტთა უმრავლესობა შიდასახელმწიფოებრივია და საფუძვლად უდევს ავტონომიისა და თვითმმართველობის საკითხები, რადგან რელიგია და ეთნოსი ხშირად ადამიანის თვითიდენტობის გამოხატვის საშუალებაა.

გლობალიზაციის პროცესი, იდენტობის ძიების აუცილებლობას ზრდის და ამ საკითხს აქტუალურობას მატებს. იმ დროს, როცა ისინი უძლურად გრძნობენ თავს მათ წინაშე ვინც ძლიერია ფინანსურად, ვისაც ნაკლებად აწუებს

ეთნიკური თუ სხვა სახის პრობლემები, ვინც საკუთარ თავს სრულ თავისუფლებას ანიჭებს. ევრტგვაროვან ჯგუფებში იდენტობისა და სოლიდარობის საკითხი უფრო მწვავედება.

დღეს მზარდი ფუნდამენტალიზმის მოწმენი ვართ, რაც კონფლიქტის წყაროა. ისლამურ ექსტრემისტებთან (ტერორისტებთან) ბრძოლის საჭიროება ჩვენთვის ომის გასამართლებლად გამოიყენეს. ძალიან ხშირად გადმოსცემენ „ჰეზბოლას“ მოძრაობის თავდასხმების შესახებ, ასევე ხშირად გვესმის ძალადობრივი ექსტრემიზმის ამბები ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა: ინდონეზია, ინდოეთი, პაკისტანი და შრი-ლანკა.

კიდევ ერთი მაგალითი „რელიგიური ომის“ მოხსენიებისა სუდანია. ბრიტანული კოლონიური ძალაუფლება გაერთიანდა კულტურულ და ინტელექტუალურ მუსლიმურ ელიტასთან და ამით წვლილი შეიტანა ჩრდილოეთის მუსლიმური და სამხრეთ ქრისტიანული თემების გახლეჩვაში. პირველი ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ბრიტანეთის მმართველობის დროს 1955 წელს დაიწყო და 1972 წელს დასრულდა.

როდესაც 1983 წელს პრეზიდენტმა ნუმეირმა ისლამური შარიათი მთელი ქვეყნის კანონად გამოაცხადა, სამხრეთელებმა ომი დაიწყეს და დღემდე გრძელდება.

კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ჩრდილოეთ ირლანდია. „უსიამოვნებები“, რომლებიც ხშირად პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის კონფლიქტამდე დაჰყავთ, სათავეს მე-17 საუკუნის პირველ წლებში იღებს, როდესაც ინგლისის სამეფოს სურდა ირლანდიელი მოსახლეობა ლოიალური ინგლისელი და შოტლანდიელი მოსახლეობით ჩაენაცვლებინა. ყოველ წელს პროტესტანტი ორანჟერისტები ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქებში საზეიმო მსვლელობით კათოლიკე მეფე ჯეიმზ II დამარცხებას აღნიშნავდნენ, რაც რომაული კათოლიციზმის შეურაცყოფაა. საზეიმო მსვლელობას რამდენჯერმე აჯანყებები მოჰყვა, რომლებმაც სამშვიდობო პროცესს საფრთხე შეუქმნა.

იმის მიუხედავად, რომ რელიგიას ხშირად ძალადობრივი კონფლიქტების ელემენტად მოიხსენიებენ, ის უნდა თანამშრომლობდეს კიდევ კონფლიქტის



მოგვარებასა და პოსტკომფლიქტურ მორიგებებში ხშირად აღიარებენ, რომ რელიგიურ თემებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სამშვიდობო და დაზავების პროცესებში. მაგრამ გაცილებით ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას მის რეალურ კონფლიქტურ სიტუაციაში.

როდესაც კონფლიქტი ძალის გამოყენების ეტაპს მიაღწევს, როგორც წესი ირღვევა დიალოგის რელიგიური თუ სეკულარული სტრუქტურები, რომლებმაც ვერ განავითარეს საკმარისი ნდობა დიალოგში ჩართულ მხარეებს შორის. როგორც ბოლო დროინდელმა კონფლიქტებმა აჩვენა სხვა ძალები რელიგიურ თემებს ხშირად ბოროტად იყენებენ. ამის მიუხედავად, რელიგიურ ორგანიზაციებს და სტრუქტურებს მაინც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.

როცა კონფლიქტი იწყება, ხშირად სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ ადგილობრივი თემები ერთად შეკრიბონ. ბოსნია-ჰერცეგოვინიისა და კოსოვოს კრიზისის შემთხვევაში, რელიგიური თემების მრგვალი მაგიდების მოწყობა ყოფილ იუგოსლავიაში სწორედ ისეთმა ორგანიზაციებმა შეძლეს, როგორებიცაა: მსოფლიოს ეკლესიათა საბჭო, ევროპულ ეკლესიათა კონფერენცია და სინდისი ფონდის მოწოდება.

ამ შეხვედრებმა დააახლოვა რელიგიები და მკაფიო სიგნალი გაუგზავნა არარელიგიურ სამყაროს.

## **§2.10 რელიგიების გავლენა კავკასიის კონფლიქტებზე**

სანამ კავკასიის კონფლიქტებში რელიგიის ფაქტორის მნიშვნელობას განვიხილავთ ვისაუბროთ ნაციონალიზმსა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის ურთიერთმიმართებაზე, მითუმეტეს იმის ფონზე, რომ კავკასიის რეგიონი გვევლინება ისლამური ფუნდამენტალიზმის აღორძინებისა და გამოცოცხლების ადგილად. მუსლიმებში არსებობს ტენდენცია იმისა, რომ პოლიტიკაში ორგანიზება რწმენის საფუძველზე მოახდინონ. იმ ქვეყნებში სადაც ისინი უმცირესობას წარმოადგენენ, უჩნდებათ მოთხოვნა, რომ ჩამოყალიბდნენ ცალკე

პოლიტიკურ ჯგუფად, გამოყოფილ ერ-სახემწიფოს ანსახემწიფოს რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებში, ამის კარგი ნიმუში კავკასიაში გახლავთ ჩეჩნეთი, პარალელულად აზიის მაგალითსაც მოვიშველიებ (ინდოეთი, პაკისტანი) აქ აშკარაა კავშირი მუსლიმური ერთობის შექმნა-შენარჩუნებისა და პოლიტიკურ სეპარატიზმს შორის.

ნაციონალიზმსა და ფუნდამენტალიზმს შორის მჭიდრო კავშირს განაპირობებს ის ფაქტორი, რომ ფუნდამენტალიზმი წარმოგვიდგენს დეტალურ და კონკრეტულ პროგრამას, ხოლო ნაციონალიზმი- ენასა და ეთნიკურობაზე დამყარებული ფენომენია, რომელიც მომავლისთვის არანაირ „სახელმძღვანელოს“ არ გვთავაზობს. ასე, რომ ისინი კარგად ავსებენ ერთმანეთს

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის კონფლიქტებიდან თითოეულს გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს, ნთლად ჩანს მათი წარმოშობის, წყაროებისა და კონფლიქტების უშუალო შედეგების მსგავსება. ყველა კონფლიქტი გარდა ოსეთ-ინგუშეთისა წარმოადგენს შემთხვევას, როცა საბჭოთა პერიოდის ეთნიკური ავტონომიები აუმხედრდნენ შესაბამის ცენტრალურ ხელისუფლებას ლიბერალიზაციასა და საბჭოთა კავშირის დაშლის დროს.

ეს საინტერესო ფაქტია, ვინაიდან კონფლიქტების თეორეტიკოსები ავტონომიას, ეთნიკურ უთანხმოებათა კომპრომისული გადაწყვეტის საშუალებად მიიჩნევენ.

მოკლედ შევხვით ასევე კავკასიის კონფლიქტების პოლიტიკური დისკუსიის ერთ მხარესაც, რომელსაც შეიძლება რეგიონის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც ვუწოდოთ. თუმცა ისიც გასარკვევია მართებულია თუ არა საუბარი საერთო-კავკასიურ პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

კონფლიქტების ჭეშმარიტი მიზეზების გასარკვევად მოვიშველიოთ ცოტა შორეული პერიოდი, კერძოდ ის ხანა, როცა რუსეთი კავკასიაში დამკვიდრებას იწყებდა.

სამხრეთ კავკასიაში დასამკვიდრებლად რუსეთს XIX საუკუნის დასაწყისიდან 70-იან წლებამდე პერიოდი დასჭირდა. ამავდროულად იგი ჩრდილოეთ კავკასიაში, ომს აწარმოებდა. თავის გავლენას იგი ნაცადი ხერხით-

ადგილობრივ ელიტებზე დაყრდნობით აწარმოებდა. ამ ტაქტიკამ გაამართლა, საქართველოსა და სომხეთში. ქართველებსა და სომხეთს ჰქონდათ ნაციონალური იდენტურობის განვითარებული გრძნობა, რასაც თანამედროვე აზერბაიჯანზე ვერ ვიტყვით, რომლის ტერიტორია დაყოფილი იყო ირანის საჰების დაქვემდებარებაში მყოფ სახანოებად.

სომხები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ კავკასიაში რუსეთის ბატონობის მთელს პერიოდში, იყვნენ რუსეთის მოკავშირეები და მნიშვნელოვანი თანამდებობებიც ეკავათ ადმინისტრაციაში. რუსეთი მუდმივად ცდილობდა დემოგრაფიული ვითარების შეცვლას სამხრეთ კავკასიაში. მუსლიმ აზერბაიჯანელებს გადასახლებისკენ უბიძგებდა და ხელს უწყობდა ქრისტიანი სომხების დიდი რაოდენობით შემოსვლას.

ავტონომიური სტრუქტურები არ იძლეოდა რეალურ ავტონომიას ან პოლიტიკურ ძალაუფლებას. მათი უფლებები შემოიფარგლებოდა კულტურული და სოციალური სფეროებით.

ჩრდილოეთ კავკასიაში ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ერთი მხრივ თურქული მიდგომის ყარაჩა-ბაყარების, მეორე მხრივ კი ჩერქეზების დაყოფა.

სტალინმა ამჯობინა ამ ტერიტორიის გაყოფა ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერძის გასწვრივ და შექმნა ყარაჩა-ჩერქეზეთისა და ყაზარდო-ბაღყარეთის რესპუბლიკები. ჩერქეზები თავის მხრივსამ ნაწილად დაყოფილი არმოჩნდნენ: ადირებად, ჩერქეზებად და ყაზარდოელებად. ასევე ხელოვნურად გაყვეს ვაინახები ჩეჩნებად და ინგუშებად.

მოსკოვის სურვილისამებრ ხდებოდა ავტონომიური რეგიონების იერარქიული სტატუსის შექმნა, შექმნა ან გაუქმება. ამის ნათელი მაგალითია აფხაზეთი, რომელიც 1931 წლამდე სახელმეკრულებო რესპუბლიკა იყო, შემდეგ კი საქართველოს დაექვემდებარა; ჩეჩნებსა და ინგუშებს თავდაპირველად ჰქონდათ ცალ-ცალკე რესპუბლიკები, რომლებიც 1944 წელს დეპორტაციის დროს გაუქმდა და 1957 წელს აღდგა მცირედ შეცვლილი ტერიტორიით.

სამხრეთ კავკასიაში ხელმეკრულებებმა სსრკ-სა და თურქეთს შორის შექმნა რუკა, რომელმაც კონფლიქტები და უთანხმოებები წარმოშვა, რომლებიც

დღემდე გრძელდება. აზერბაიჯანში იქმნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, რომელიც მთლიანად გარშემორტყმული იყო აზერბაიჯანული „ანკლავი ნახჭევანის“ ავტონომიური რესპუბლიკის სახით.

რელიგიის როლი კავკასიის კონფლიქტებში ფართო დისკუსიის საგანია დასავლეთში.

ავტორთა ნაწილი თვლის, რომ რელიგიის, როგორც სტაბილურობის განმსაზღვრელი ცვლადის როლი ხშირად გადაჭარბებულად არის შეფასებული დასავლელ მკვლევართა მიერ. მაგალითად: ყარაბაღის კონფლიქტი წარმოდგენილია, როგორც დაპირისპირება მუსლიმ აზერბაიჯანელებსა და ქრისტიან სომხებს შორის, ასევე ჩეჩნეთის ომი- დაპირისპირება მართლმადიდებელ რუსეთსა და მუსლიმ ჩეჩნებს შორის, მაგრამ რელიგია მხოლოდ ერთ-ერთი და არა განმსაზღვრელია იმ ფაქტორებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებზე რეგიონში.

რეალურად კი, კონფლიქტებს ამ რეგიონში განაპირობებს რთული საშინაო, კულტურული, რეგიონული და საერთაშორისო ფაქტორები.

რელიგია კონფლიქტის განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, თუ არსებობს ამ ჩამონათვალიდან ერთ-ერთი პირობა მაინც:

1. რომელიმე მხარე მიმართავს რელიგიურ აზროვნებას კონფლიქტის ლეგიტიმაციის მიზნით.
2. მხარეების პოლარიზაცია ეფუძნება უმთავრესად რელიგიურ იდენტურობას ან ტეოლოგიურ განსჯას.

ფაქტია, რომ არცერთ შემთხვევაში კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარე არ მიმართავდა რელიგიურ აზროვნებას კონფლიქტური ქცევის ლეგიტიმაციისათვის. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩეჩნეთ-რუსეთის ომთან მიმართებაში, სადაც ისლამი გამოიყენებოდა დროდადრო ხალხის შესაკავშირებლად.

## § 2.11 რელიგიების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

რელიგიებს ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრიათ საერთაშორისო ურთიერთობებში. ისინი განიხილება, როგორც პრობლემა კონფლიქტების წარმოქმნაში და აგრეთვე მათ განეიტრალება, თუმცა ძნელია ვიპოვოთ ის ზღვარი, რომელიც ამ უკიდურეს სხვაობას შრის გადის. რელიგიას საზღვრები არ გააჩნია, მიიწევს ისეთი სივრცის არეალებისკენ, სადაც პოულობს ნავსაყუდელს.

მიუღებელია ყოველგვარი ფანატიზმი, რომელიც ექსტრემიზმზეა დამყარებული და საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა რელიგია ითვალისწინებს თავისუფლების, ურთიერთპატივისცემისა და შემწყნარებლობის ნორმებს, მაინც არსებობს მათ შორის ისეთი განსხვავებები, რომლებიც არ მისცემს საშუალებას დაპირისპირებულ მხარეებს მოგვარდნენ მარტივად.

რელიგია ხშირად ერევა საერო ხელისუფლებაში, აუცილებელია მისი ხელისუფლებიდან გამიჯვნა, რათა თავიდან ავიცილოთ ზედმეტი კონფლიქტები და პრობლემები ლოკალურ თუ საერთაშორისო სივრცეში.

რელიგია იწვევს კონფლიქტებს, რაც სხვადასხვა რელიგიებს შორის აღინიშნება და განაპირობებს საზოგადოების გახლეჩვას, შიდა და გარე ჯგუფებად, რაც კონფლიქტების გამომწვევია სხვადასხვა რელიგიებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს, ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვთ და შეუძლიათ ერთად გაუმკლავდნენ მსოფლიოში წამოჭრილ პრობლემებს, ურთიეთპატივისცემა ჩამოაყალიბონ ერთმანეთის სარწმუნოების მიმართ და ამით ბოლო მოუღონ კონფლიქტებს, სხვადასხვა აღმსარებლობებს შორის დაპირისპირება და ანტაგონიზმი მაინც იჩენს თავს.

თანამედროვე ეტაპზე არსებული რელიგიური კონფლიქტებიდან შეიძლება გამოვყოთ კოსოვო, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური ლიდერები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები უარყოფენ რელიგიის გავლენას.

რელიგიურ კონფლიქტებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილ ტერორიზმზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე სამყაროს, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

რელიგიური ტერორისტული დაჯგუფებები თავიანთ ქმედებებს ამართლებენ იმით, რომ ისინი არიან მხსნელები და რჩეულები.

დღეს რელიგიას ყველაზე ხშირად უკავშირებენ ფუნდამენტალიზმს, ექსტრემიზმს და რადიკალიზმს. აქტიურად საუბრობენ ისლამურ ფუნდამენტალიზმზე, რომელსაც უკავშირებენ ტერორიზმს.

რელიგიური ფუნდამენტალიზმი, XXI საუკუნეში მზარდ საფრთხეს წარმოადგენს, ეს არ არის მხოლოდ საფრთხე მხოლოდ რომელიმე ქვეყნის მიმართულებით, არამედ ეს საფრთხეა მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის.

რელიგიურ ფუნდამენტალიზმს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიო წესრიგის მტერი.

რელიგიურ ფუნდამენტალიზმს არააქვს ეროვნული და ეთნიკური მახასიათებლები, იგი მთელ ისლამისტურ სამყაროს ერთიანობის მისწრაფებით ხასიათდება.

საომარი სულისკვეთება რელიგიური ფუნდამენტალიზმის, კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა, როგორც ტერორისტები აცხადებენ, ისინი იბრძვიან რელიგიის ძალმოსილების ზრდისათვის და საკუთარ თავს უწოდებენ მეომრებს. მათთვის სხვა რელიგიის მიმდევრები არან უცხოები, მტრები. მიაჩნიათ, რომ მოქმედებენ სიკეთის სახელით, მათი მთავარი მიზანი თვითდამკვიდრებაა.

## თავი III ფუნდამენტალიზმი თანამედროვე მსოფლიოში

### § 3.1 რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ფანატიზმი, ექსტრემიზმი, და რადიკალიზმი

რელიგიური ფუნდამენტალიზმი (ლათ. Fundamentum - საფუძველი) - ტენდენცია, რომელიც გამოხატავს კონსერვატიული რელიგიური წრეების რეაქციას სეკულარიზაციის მიმართ.

ეს ტერმინი პირველად XXს-ის დასაწყისში გამოიყენეს ამერიკელ პროტესტანტთა შორის გამართულ პოლემიკის დროს. 1910-13 წლებშიევანგელისტმა პროტესტანტებმა გამოაქვეყნეს პამფლეტების ციკლი სახელწოდებით „საფუძვლები“, რომლებიც ბიბლიის სიტყვა-სიტყვით გაგებას ემხრობოდა და იცავს მას თანამედროვე ინტერპრეტაციებისგან.

დღეს რელიგიურ ფუნდამენტალიზმში იგულისხმება სწორხაზოვანი რელიგიური იდეოლოგია ან თანამედროვე რელიგიური ცნობიერების ერთი ეტაპი, „უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელი ე.წ. „აბრაამული“ რელიგიებისთვის (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), თუმცა ამ ცნობიერებას პარალელურ ინდუიზმში, სიქჰაიზმში, ბუდიზმსა და კომფუციანელებშიც მოეძებნება. სხვადასხვა რელიგიურ კონტექსტში ფუნდამენტალიზმის გამოვლენას სხვადასხვა მიზეზი აქვს, მაგრამ შესაძლებელია ლაპარაკი გლობალურ რელიგიურ ფუნდამენტალიზმზეც; როგორც განსაკუთრებულ ფენომენზე. მისი წარმოშობა 1970-იან წლებში აშშ-ისა და ლათინური ამერიკის პროტესტანტულ ეკლესიებში ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის გაძლიერებას უკავშირდება, რაც ტიპოლოგიურად ისეთივე მოვლენა იყო, როგორიც კათოლიკური „ოპუს დეი“ აიათოლა ხომეინის „ისლამური ფუნდამენტალიზმი“, ებრაული „გუშ ემუნიმ“ და სხვა.

რელიგიური ფუნდამენტალიზმი კულტურის დესაკრალიზაციის პროცესის წინააღმდეგია. იგი წმინდა წერილებში (ბიბლიაში, თორაში, ყურანში, ასევე თალმუდში, წმინდა მამების წერილებში, პაპის ენციკლიკებში, შარიათის

კანონებში) გადმოცემულ ღვთიურ განცხადებას აბსოლუტურ ავტორიტეტად მიიჩნევს და მოითხოვს წმინდა ტექსტების პირდაპირ, ზედმიწევნით, ერთმნიშვნელოვნად გაგებას და გამორიცხავს ყოველგვარ ჰერმენეტიკულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი.

ასეთი რელიგიური მიმართების შედეგი, როგორც წესი, ულტრამემარჯვენე ტენდენციების გამომხატველი პოლიტიკური პოზიციაა.

რელიგიური ფუნდამენტალიზმის განსაკუთრებულობა ის არის, რომ იგი წარსულის ტენდენციებისაკენ დაბრუნებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის დომინირების ფორმათა აღდგენისაკენ მოწოდებისას, „ჩვეულებრივი“ კონსერვატიზმისაგან განსხვავებით „სამყაროს ახალი წყობის“ შენების თანამედროვე პროექტად გვევლინება, რომელიც ჰუმანიზმისა და დემოკრატიის პრინციპების უარყოფასა და ტოტალიტარული რელიგიური იდეის დამკვიდრებაზეა ორიენტირებული, ოღონდ თანამედროვე ცივილიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

ფანატიზმი - ბრმა, უკიდურესად უპირობო ერთგულება რწმენისადმი, პრაქტიკულ ცხოვრებაში მისი იდეების მკაცრი განხორციელებისადმი ლტოლვა, როგორც წესი შეუწყნარებელი სხვისი მოსაზრებებისა თუ შეხედულებების მიმართ. რელიგიურ ფანატიზმში ორი ძირითადი ტიპი არსებობს: პასიური ჭვრეტითი და აქტიური ექსტრემისტული.

რელიგიური ფანატიკოსების ფსიქოლოგია ასე ხასიათდება:

ა) დემონსტრაციული - ყოველთვის ცდილობს ყურადღების ცენტრში იყოს. მუდამ თავისი რელიგიის უპირატესობაზე საუბრობს.

ბ) შიზოიდური - ჩაკეტილ ცხოვრებას ეწვეიან, სუსტად გამოხატული ემოციებით და უქმური განწყობით.

გ) ეპილონტოიდური - გამოირჩევიან სისასტიკით, მკვეთრი აგრესიული თავდასხმებით და სწრაფი რეაქციით.



ექსტრემიზმი - ერთგულება უკიდურეს შეხედულებებზე განსაკუთრებული ზომებით. ზომებს შორის შეიძლება გამოვყოთ: არეულობის პროვოკაცია, ტერორიტიული აქციები, მეთოდები პარტიზანულ ომებში და სხვა.

ყველაზე რადიკალურად განწყობილი ექსტრემისტები ხშირად უარყოფენ ნებისმიერ კომპრომისზე წასვლას, მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებს. მის გაძლიერებას ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, ცხოვრების დონის მკვეთრი ვარდნა, ბრძოლა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ.

რადიკალიზმი - უკიდურესი, უკომპრომისო გადახრა რომელიმე შეხედულების ან ცნებისადმი. ხშირად რადიკალებს იყენებენ სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში. ყველაზე ხშირად პოლიტიკური რადიკალიზმი გამოიყენება, მაგრამ შესაძლებელია: რელიგიური, საეკლესიო, ფილოსოფიური.

### **§ 3.2. მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი**

ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი დღესაც აქტიურად ფუნქციონირებს როგორც დასავლეთში, ისე მართლმადიდებლურ სამყაროში. კერძოდ ქრისტიანული ფუნდამენტალისტური ორგანიზაციის „ღმერთის არმიის“ ნამოქმედარია ტერორისტული აქტი ოკლახომა-სიტიში, რომელმაც 167 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ყველასათვის ცნობილია ისეთი ფუნდამენტალისტური სექტები, როგორცაა „დავითი შთამომავლები“, „ღვთის ხელი და მახვილი“, თუმცა ამერიკაში მათ უბრალოდ ფანატიკოსებს უწოდებენ და უარყოფენ ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის არსებობას.

ბოლო წლებში ძლიერდება მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმიც, რომელიც ებრძვის „მწვალებელთა“ ე.ი. დასავლური ქრისტიანობის ნებისმიერ მოქმედებას მართლმადიდებლურ სამყაროში.

როგორც სხვა ფუნდამენტალური მოძრაობები, მართლმადიდებელ ფუნდამენტალიზმს ყველა თეოლოგიური სწავლება თეოლოგიურ აქსიომამდე დაყავს, ხოლო შემდეგ სხვათა ღირებულებას ამ აქსიომების მიხედვით აფასებს.

როგორც ფუნდამენტალიზმის ბოლოდროინდელმა კვლევამ დაადგინა, ირონიას, რომ მოდერნიზმის ხრწნისაგან მართლმადიდებლობის დამცველი ფუნდამენტალისტებისეული მართლმადიდებელი ქრისტიანობის ხედვა თავისთავად არის ძალიან მოდერნისტულიმოვლენა. მოკლედ რომ ვთქვათ, მართლმადიდებლობა არასდროს ყოფილაისეთი, როგორსაც ფუნდამენტალისტები აცხადებენ.

მართლმადიდებელი ფუნდამენტალისტები ეკლესიის მამების თავიანთ რედუქციულ კითხვას დამატებითი უზუსტობებით ამყარებენ. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გაჟღერებული განცხადებაა, რომ სამონასტრო ცხოვრება ყოველთვის იყო მართლმადიდებლური სწავლების დამცველი. სხვები კი ამტკიცებენ, რომ წმინდა მამები იყვნენ განათლების წინააღმდეგნი და მესამენი ამტკიცებენ, რომ მამათა სწავლების მიმართ ერთგულება მოითხოვს ყოველივე დასავლურის უარყოფას. თითოეული ეს მტკიცება აშკარად ცრუა კონკრეტული მიზეზის გამო, მაგრამ ისინი იმ იდეოლოგიური მასკარადისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც თანამედროვე სამყაროსაგან თავის დაღწევას ლამობს. მართლმადიდებელ ფუნდამენტალისტთა მზაკვრული საფრთხე ისაა, რომ ისინი ჩიხში აქცევენ განსხვავებას ტრადიციასა და ფუნდამენტალიზმს შორის. ტრადიციის პოლიტიკურ იარაღად გამოყენებით, იდეოლოგს მიზანმიმართულიად შეცდომაში შეყავს ისინი, ვისაც რელიგიური ლიდერების უცდომელობაში ეჭვი არ შეაქვთ<sup>1</sup>.

### § 3.3. რელიგიური ფუნდამენტალიზმი და ადამიანის

#### პიროვნული თავისუფლება

მილიონობით ადამიანს სწამს, რომ არსებობს ძალა, რომელიც სულიერად გვმართავს. საუკუნეების განმავლობაში მრავალი განიცდიდა დევნას იმის გამო, რაც სწამდა ან არ სწამდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომის იმპერიაში ჯერ ქრისტიანებს, მერე კი ერეტიკოსებად შერაცხულთ დევნიდნენ. მესამე საუკუნეში ინდოეთში ავიწროვებდნენ ბუდისტებს და ა.შ.

„არავინ არ არის ბუნებით შეზღუდული ერთი ეკლესიის ან სექტის მსახურებით, არამედ ყველა ნებაყოფლობით უერთდება იმ საზოგადოებას, სადაც მიაჩნია, რომ იპოვა ის აღმსარებლობა, რომელიც ყველაზე მისაღებია ღმერთისათვის. იმედი გადარჩენისა, იყო რა ერთადერთი მიზეზი ამ საზოგადოებაში მისი შესვლისა, შესაბამისად გახდება ერთადერთი მიზეზი მასში დარჩენისა...“<sup>4</sup>

აქედან გამომდინარე, ეკლესია არის ამ მიზნისათვის ნებაყოფლობით გაერთიანებულ ადამიანთა საზოგადოება.

რელიგიები ისწრაფვიან ტრანსნაციონალური მიზნებისა და საერთაშორისო სტრატეგიის განვითარებისაკენ. მათ შეუძლიათ გასცდნენ საზღვრებს, რასაც ვერ ახერხებს ვერც ერთი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მაგრამ რელიგიის მიმდევრები არ ფლობენ იმ იძულების საშუალებებს, რაც ესოდენ დამახასიათებელია სახელმწიფოსათვის. რელიგიათა დამახასიათებელია სახელმწიფოსათვის, რელიგიათა სტრატეგიებს გარკვეული საზღვრები აქვს.

---

<sup>4</sup> ჯონ ლოკი, წერილი შემწყნარებლობის შესახებ. 1689წ.

## თავი IV ისლამური ფუნდამენტალიზმი და რეგიონული უსაფრთხოება

### § 4.1 რელიგიური ფუნდამენტალიზმი და ტერორიზმი

ყველაზე რადიკალური და აგრესიული არის ისლამური ფუნდამენტალიზმი. მათ მიაჩნიათ, რომ ამერიკა დიდი სატანაა, რომელიც კაცობრიობას მართავს. ისინი აქტიურად მოუწოდებენ მართლმორწმუნე მუსლიმებს საღვთო ომი (ჯიჰადი) გამოუცხადოს ურწმუნოებს. შეძლონ მსოფლიოს განთავისუფლება სატანისაგან და „ისლამური ცივილიზაციის ოქროს საუკუნეში“ დააბრუნოს კაცობრიობა.

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ურწმუნოთა ომში დაღუპული მუსლიმი პირდაპირ სამოთხეში ხვდება (ისლამური ფანატიზმის რწმენით), ადვილად გასაგები უნდა იყოს ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხე. მით უფრო, რომ მისი სამოქმედო გზა ტერორიზმია. ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. მაგ. ისლამური სამყაროს ხანგრძლივი კოლონიური დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ, მოუგვარებლობა პალესტინის პრობლემებისა და დასავლეთის მხარდაჭერა ისრაელის მიმართ.<sup>5</sup>

აქვე ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ ისლამი ებრძვის გლობალიზაციას, როგორც დასავლური წესის გამავრცელებელს.

კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ნებისმიერი რადიკალური მოძრაობა, მითუმეტეს კი ტერორიზმი, მაშინ აღწევს გარკვეულ წარმატებას, თუკი ფინანსურადაა უზრუნველყოფილი.

ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა მას შემდეგ დაიწყო აღორძინება, როდესაც არაბულ სამყაროში ნავთობის უმდიდრესი საბადოები აღმოჩნდა და მსოფლიოს ყველაზე ლატაკ-ჩამორჩენილი ქვეყნები უმდიდრეს, აყვავებულ

<sup>5</sup> ზურაბ დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, „მეცნიერება“, თბილისი 2003 წ. გვ. 362-363.

სახელმწიფოებად აქცია. ნურც იმას ნუ დავივიწყებთ, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმის ლიდერთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვთ მიღებულივეროპისა და აშშ-ს საუკეთესო უნივერსიტეტებში.

განსაკუთრებულად საშიში ისლამური ფუნდამენტალისტების ტერორისტული ჯგუფებია, რომელთა სახელსაც უამრავი აფეთქება უკავშირდება, მკვლელობები, თვითმფრინავის გატაცება და ა.შ. მხოლოდ ალჟირში ფუნდამენტალისტებმა 30 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლეს.

ყველაზე მთავარ ტერორისტულ ისლამურ დაჯგუფებებს მიეკუთვნებიან:

ა) „ჰეზბოლასი“ - ლიბანის რადიკალი შრიტების ორგანიზაცია;

ბ) „ისლამური ჯიჰადი“ და „ჰამასი“ - საღმრთო ომი აქვთ გამოცხადებული ისრაელთან და მის მხარდამჭერებთან.

გ) „ჯამათ ალი-ისლამი“ - იბრძვის შექმნას ისლამური სახელმწიფოები ცენტრალურ აზიაში და შტაბბინა ავღანეთში ჰქონდა.

დ) „ლაშქარ-ე-თაიბი“ - პაკისტანის რადიკალური ისლამისტური მოძრაობა.

ე) „თალიბანი“ – 1995-2002 წწ. მმართველი ძალა იყო ავღანეთში.

ვ) „ალ-კაიდა“ - უკავშირდება ყველაზე გახმაურებული ტერორისტული აქტები. ექსტრემალურ-ტერორისტული ისლამური ორგანიზაციაა, უსამა ბენ-ლადენის ხელმძღვანელობით.

სწორედ „ალ-კაიდას“ სახელთანაა დაკავშირებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები ნიუ-ორკსა და ვაშინგტონში, რამაც ძირეულად შეცვალა მსოფლიო გეოპოლიტიკის წესრიგი და ზოგიერთი აზრით ცივილიზაციებს შორის ომის დაწყებას დაუდო სათავე.

ფაქტია, რომ ისლამიზმი დღეს ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგეა დასავლური ცივილიზაციის საყოველთაო გავრცელებისა და გლობალიზაციის მტრად გვევლინება.

როგორც ჩანს XXI ს-ის მსოფლიოს განვითარება დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა გზით წავა ისლამური სამყარო.

ყველა ვთანხმდებით იმ საკითხზე, რომ ისლამურ ფუნდამენტალიზმს ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ისლამიზმის გააქტიურება დიდ საფრთხეს წარმოადგენს თითოეული სახელმწიფოსთვის, მათ თავიანთი ზედმეტი გააქტიურებით შეუძლიათ შეცვალონ მსოფლიო წესრიგის ბალანსი. მსოფლიოს დანარჩენ რელიგიურ-კულტურულ ცივილიზაციებს აკლიათ ის უნიკალური მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია დასავლურ ყაიდის დემოკრატიის მხარდასაჭერად.

#### **§4.2 რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსებადობა**

დემოკრატიზაციის ყველა მნიშვნელოვანი თეორიტიკოსი ეთანხმება იმ აზრს, რომ დემოკრატიაზე წარმატებული გადასვლის აუცილებელი პირობა თავისუფალი და კონკრეტული არჩევნებია.

დემოკრატიული ინსტიტუტები პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და შემუშავების დროს თავისუფალნი უნდა იყვნენ კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებების შესახებ კონცეფციის ფარგლებში. ამავდროულად რელიგიური ჯგუფები და ინდივიდები, უნდა ფლობდნენსრულ თავისუფლებას კერძო ღვთისმსახურების აღსრულების დროს.

ანალიტიკოსები, არადასავლურ „არაქრისტიანულ“ ცივილიზაციებში დემოკრატიის პერსპექტივებზე საუბრის დროს ხშირად მიუთითებენ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სეპარაცია მთავარი დამახასიათებელი ნიშანია არა მხოლოდ დასავლური დემოკრატიისა, არამედ ზოგადად დემოკრატიისა. მათთვის ისეთი რელიგიური სისტემა, როგორცაა აღმოსავლური მართლმადიდებლობა, სადაც ხშირად ეკლესიას სახელმწიფო სტატუსი აქვს, წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის, მაგრამ აქ, უპირველესად, უნდა მივუთითოთ, რომ ევროკავშირის წევრ ოთხ ქვეყანაში: დანიაში, ფინეთში, ბრიტანეთსა და საბერძნეთში - ეკლესიებს სახელმწიფო სტატუსი აქვთ. მართალია ნორვეგია არ არის ევროკავშირის წევრი,

მაგრამ წარმოადგენს კიდევ ერთ ევროპულ ქვეყანას, სადაც ეკლესიას სახელმწიფო სტატუსი აქვს.

მე-20 საუკუნეში ორი ყველაზე „აგრესიული“ სეპარაცია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მოხდა 1931 წელს ესპანეთში და 1905 წელს საფრანგეთში. ამჟამად აღნიშნულ ქვეყნებში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის „მეგობრული“ სეპარაცია არსებობს.

1958წ.-დან მაგ. საფრანგეთი მნიშვნელოვანი მოცულობით აფინანსებს კათოლიკური ეკლესიის დაწყებითი განათლების სკოლებს.

არცერთ დასავლეთევროპულ ქვეყანაში აღარ არის მკაცრი და აგრესიული სეპარაცია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ასე რომ, დასავლეთევროპული გამოცდილებიდან „გაკვეთილის“ მიღება გულისხმობს არა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის „სეპარაციის კედლის“ აღმართვას, არამედ რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსებადობის, მუდმივი პოლიტიკური კონსტრუქციისა და რეკონსტრუქციის გაცნობიერებას.

ამრიგად ანალიტიკოსებს მოუწევთ აღიარონ, რომ სეკულარიზმი და სეპარაცია (ეკლესიას სახელმწიფოს შორის) არ არის დემოკრატიასთან თვისებრივად დაკავშირებული და მათი მჭიდრო დაკავშირება არადემოკრატიულ ფორმებთან მართლაც შესაძლებელია, რაც სისტემატურად არღვევს რელიგიასა და დემოკრატია შორის ურთიერთშეთავსებადობის პრინციპს.<sup>6</sup>

---

<sup>6</sup> ალფრედ სტეაფანი, მცირეოდენი შემოკლებით ინგლისურიდან თარგმნა დავით თინიკაშვილმა.

## დასკვნა

რელიგია, როგორც იდეოლოგიის ფორმა და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩემი სამაგისტროს მთავარ ბირთვს წარმოადგენს.

არ არსებობს რელიგიის საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება. ეტიმოლოგიურად ლათინურიდან მომდინარეობს „მაკავშირებელს ნიშნავს“.

საერთაშორისო სამართალში რელიგიის თავისუფლება. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება თავისი ყველაზე უხეში გაგებით მოიცავს უფლებას გარკვეული რელიგიური მიდგომის ან ნორმების აღიარებაზე. აზრის და სინდისის თავისუფლება კი გულისხმობს ადამიანის უფლებას ნებისმიერი საკითხის შესახებ აზრის გამოთქმაზე, პერსონალური მსოფლმხედველობის ქონასა და განსაზღვრული რელიგიისა ან რწმენის მიმდევრობაზე, როგორც ერთპიროვნულად, ისე საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად მის გამოხატვის გზით.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება უპიპობოდ დაცული ფასეულობები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არავითარი პირობით არ შეიძლება ადამიანის იძულება, გაამხილოს თავისი აზრები ან გახდეს ამა თუ იმ რელიგიის ან რწმენის მიმდევარი.

რელიგიისა და თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხია ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიებს ან რწმენებს შორის, საერთაშორისო სტანდარტები არ შეიცავს მოთხოვნას სახელმწიფოსა და რელიგიას შორის რომელიმე კონკრეტული სახის ურთიერთობის დამყარების თაობაზე.

ცივილიზაციათა ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ერთიანი გლობალური სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ფაქტორს. აქ წინა პლანზე იწევს რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

არავისთვის გასაკვირი არ არის, რომ ადამიანთა ცხოვრების ორი სფერო: პოლიტიკა და რელიგია, განსხვავებულად ურთიერთქმედებდა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას.



ნათელია, რომ როგორც პოლიტიკა, ასევე რელიგია მისწრაფვის გლობალური ან საერთაშორისო დონეებისკენ.

ექვგარეშეა, რომ დღეს რელიგია საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში საკმაოდ მაღლა დგას. იგი კვლავ აღზევდა გლობალურ-საზოგადოებრივ სამფლობელოში და მოიპოვა გამორჩეული ადგილი საგარეო პოლიტიკაში, დიპლომატიასა და კონფლიქტურ მოლაპარაკებებში.

სეკულარული სახელმწიფოები უარს ამბობენ რელიგიის ოფიციალურად აღიარებაზე, ან ფორმალურად გამოყოფენ მას პრივილეგიების გარეშე, რომლებიც მანამდე ოფიციალურად აღიარებულმა ეკლესიებმა ულაპარაკოდ მიიღეს. სეკულარულ სახელმწიფოში არავითარი ოფიციალური სტატუსი არ ენიჭება რელიგიას.

ცნება „ფუნდამენტალიზმი“ გულისხმობს ნებისმიერ უკიდურესად კონსერვატიულ მიმდინარეობს როგორც თანამედროვე რელიგიებში, ისე პოლიტიკისა და იდეოლოგიის სფეროებში.

დასავლეთის შიშმა, კერძოდ კი იმის რწმენამ, რომ დასავლური ცივილიზაცია ანადგურებს ეროვნულს, ტრადიციულს და განსაკუთრებით ბღალავს რელიგიურ სიწმინდეებს, წარმოშვა დასავლეთთან მკვეთრად დაპირისპირებული იდეოლოგია და მოძრაობა, რომელსაც ფუნდამენტალიზმი ეწოდება.

ფუნდამენტალიზმთან ბრძოლისას დიალოგისა და ტოლერანტობის რეცეპტები სამწუხაროდ ყოველთვის არ გვეხმარება იმიტომ, რომ საუბრის მიზანი არ არის საერთო პოზიციის მოძებნა, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ერთობლივი პოზიციის ჩამოყალიბება და მისი დანერგვა.

ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი დღესაც აქტიურად ფუნქციონირებს როგორც დასავლეთში, ისე მართლმადიდებლურ სამყაროში. კერძოდ, ქრისტიანული ფუნდამენტალისტური ორგანიზაციის „ღმერთის არმიის“ ნამოქმედარია ტერორისტული აქტი ოკლახომა - სიტში, რომელმაც 167 კაცი იმსხვერპლა.

ყველაზე რადიკალური და აგრესიული მაინც ისლამური ფუნდამენტალიზმია. ის თვლის, რომ აშშ დიდი სატანაა, რომელიც კაცობრიობას მართავს. ამასთანავე უნდა ავღნიშნოთ, რომ ისლამიზმი ებრძვის გლობალიზაციას, როგორც დასავლური ცხოვრების წესის გავრცელებას.

განსაკუთრებით საშიში ისლამური ფუნდამენტალისტების ტერიტორიული ჯგუფებია, რომელთა სახელთანაც არის დაავშირებული უამრავი აფეთქება, მკვლელობა, თვითმფრინავის გატაცება და ა.შ.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტია რელიგიური ფუნდამენტალიზმი, აგრეთვე რელიგიის გავლენა პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ნაშრომის კვლევისას ძირითადი აქცენტი სწორედ ამ თემებზე მაქვს გაკეთებული. წერის დროს ბევრი სიახლე გამოიკვეთა მაგალითად ის, რომ ქართულ ენაზე ასეთი სახის სპეციალური გამოკვლევების საკმაოდ მწირი რაოდენობა არსებობს, აგრეთვე სიახლეთა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი საკითხების ანალიზი, როგორცაა: რელიგიების როლი დიალოგებისა და შერიგების პროცესში; რელიგიური ფაქტორის როლი საგარეო პოლიტიკაში; რქმენისა და ფასეულობების ურთიერთდამოკიდებულება.

შევისწავლე რელიგიური ფუნდამენტალიზმის პრობლემის საკითხები და დავადგინეთ, რომ იმისდა მიუხედავად, რომ რელიგიას ხშირად ძალადობრივი კონფლიქტების ელემენტად მოიხსენიებენ, რელიგია თამაშობს მთავარ როლს კონფლიქტის პრევენციასა და პოსტკონფლიქტურ მორიგებებში.

კვლევის დროს ვეყრდნობით ქართველი და უცხოელი მეცნიერების მონოგრაფიებს, ნაშრომებს, სახელმძღვანელოებსა და სტატიებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. დავითაშვილი ზ., „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, თბილისი 2003 წ.
2. კოდუა ლ. „ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია“, თბილისი 1995 წ.
3. ნარინდოშვილი მ. „ადამიანის უფლებები“, თბილისი 2005 წ.
4. რელიგიის კათოლიკური ენციკლოპედია. ტომი 14.
5. ტეილორი. ს. 1994 წ. გვ 16-43
6. ოსტინი 1996 წ. გვ. 318

## პუბლიცისტური ნაშრომები

1. დევიდ ვესელის ნაშრომი „რელიგია საერთაშორისო პოლიტიკაში“
2. კლაინ გოლდევიკი „რელიგია, საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა განვითარებისთვის“
3. რებეკა გლაზერის ნაშრომი „რელიგიური ფაქტორის შემოტანა საერთაშორისო ურთიერთობებში“
4. პავლოს ჰაზაპულოსის ნაშრომი „რელიგია საერთაშორისო ურთიერთობებში“

## თარგმანები

5. წმ. პავლე მოციქულის სახელობის მართმადიდებლური ღვთისმსახურების ცენტრი. (ლეონიდე ებრალიძის თარგმანებიდან)